

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ვია ჯაიანს

ბატონო ვია, გთხოვთ, იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც უნივერსიტეტის დაფინანსებით ინსტიტუტს მიეცა, ერთი სამტატო ერთეულით გადაწყვიტოთ „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ ლაბორატორიის დაფინანსების საკითხი. კერძოდ, გთხოვთ, ინსტიტუტის ფარგლებში დადებითად გადაწყვიტოთ ზემოხსენებული ლაბორატორიის დაფინანსების საკითხი შემდეგი სამტატო განაწილებით:

1. კ. ფხაკაძე, ლაბორატორიის ხელმძღვანელი 0. 25 სამტატო დაფინანსებით (იხ. დანართი 1);
2. გ. ჩიჩუა, ლაბორატორიის წევრი 0. 25 სამტატო დაფინანსებით (იხ. დანართი 2);
3. ა. მასხარაშვილი, ლაბორატორიის წევრი 0. 25 სამტატო დაფინანსებით (იხ. დანართი 3);
4. ლ. აბზიანიძე, ლაბორატორიის წევრი 0. 25 სამტატო დაფინანსებით (იხ. დანართი 4);
5. კ. გაბუნია, ლაბორატორიის წევრი საზოგადოებრივ საწყისებზე (იხ. დანართი 5);

საკითხის დადებითი გადაწყვეტა, ცხადია, შეფასდება აქტუალური საუნივერსიტეტო თემატიკის უნივერსიტეტში დაბრუნებისა და 2003-2007 წლებში ფინანსირებადი თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლავ საუნივერსიტეტო დაფინანსების ქვეშ მოქცევის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზნობრივი პროგრამა 2008 წელს საუნივერსიტეტო დაფინანსების მიღმა დარჩა, გატყობინებთ, რომ უნივერსიტეტმა რექტორის მხარდაჭერით საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში იგი მაინც თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის სახით წარადგინა (იხ. დანართი 6). საფუძველი ამგვარი საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებისა იყო ამ პროგრამის 2002-2007 წლების საუნივერსიტეტო და საინსტიტუტო ისტორია და თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათით (იხ. დანართი 7) ჩემი რექტორისადმი 2007 წლის 24 დეკემბერს გაკეთებულ განმეორებით მიმართვაზე (იხ. დანართი 8). საკითხის ზოგადი საუნივერსიტეტო აქტუალობა დასტურდება აგრეთვე თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ი. დარჩიას მოხსენებითი ბარათით (იხ. დანართი 9).

„ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ ლაბორატორიის დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით რექტორს პირველად 2007 წლის 22 ივნისს მივმართეთ (იხ. დანართი 10). ამავე მიზნით რექტორს მივმართე აგრეთვე 2008 წლის 29 დეკემბერს (იხ. დანართი 11). რექტორმა ეს მიმართვა 2008 წლის 31 დეკემბერს გადაუგზავნა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ქ-ბ ი. დარჩიას (იხ. დანართი 12), ხოლო 2009 წლის 21 იანვარს რექტორის მრჩეველს ბ-ნ რ. ქვათაძეს.

თანრთული ინფორმაციის სახით გატყობინებთ აგრეთვე, რომ 2008 წლის 25 ივლისს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და რუსთველის ფონდის ორგანიზებით შედგა სემინარი, სადაც ჩვენ მოგვეცა საშუალება წარგვედგინა თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი მიზნები, საკვლევი საფუძვლები, და ის საფრთხეები, რაც მათემატიკური თვალსაზრისებით ქართული ენისა და აზროვნების შეუსწავლელობის გამო ქართულ ენას ემუქრება. – ეს, იმის გათვალისწინებით, რომ რ. ბოჭორიშვილის არასაუნივერსიტეტო ქცევების გამო ორი წლის განმავლობაში (ბ-ნო ვია, ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ იქნა გაზიარებული ბ-ნ ე. ნადარაიას წინადადება თსუ აკადემიური საბჭოს 21 იანვრის სხდომამდე ჩვენი ჯგუფის მოწვევისა და მოსმენის თაობაზე!). ჩვენ არ მოგვეცა ანალოგიური ხასიათის საფაკულტეტო სემინარის ორგანიზების საშუალება, კიდევ ერთი ამკარა დასტურია ჩვენი თემატიკისადმი მისი ტენდენციური დამოკიდებულებისა.

მიუხედავად იმისა, რომ ძნელია გადააფასო ფონდში წარდგენილი თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ მნიშვნელობები, ჩვენ იმედი იმისა, რომ იგი კონკურსში გაიმარჯვებს, ნაკლებ გვაქვს. ეს ძირითადად განპირობებულია ამ პროექტის ფარგლებში კერძო საექსპერტო კომპეტენციების ნაკლებობით (მხედველობაში გვაქვს როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთელი ექსპერტები). თუმცა, ასეთი იმედები მაინც არსებობს, რადგან დღეს უკვე ადვილად გასაგებია ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური დაფუძნების, ანუ ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის

შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობები.

ამასთან, ის, რომ **ბუნებრივი ენების ლოგიკაში** ჩვენ სრულ ადგილობრივ არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე, აშკარად დასტურდება იმითაც, რომ **გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემების** საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც თსუ-ში 2008 წლის 7-9 ოქტომბერს გაიმართა, “Foundations of Mathematics and Mathematical Logic” სექციაზე წარდგენილი ჩვენი (კ. ფხაკაძე, ს. მასხარაშვილი, ლ. აბზიანიძე) უმნიშვნელოვანესი თეორიული ნაშრომი სათაურით „**ქართული ენის თეზისები**“, სექციის ხელმძღვანელებმა გადაამისამართეს სექციაზე “Applied Logics and Programming”, რომელზედაც ჩვენ (კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ს. მასხარაშვილი, ლ. აბზიანიძე) სექციის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი გვქონდა წარდგენილი სათაურით „**1-საფეხურის ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემა**“.

ასეთ პირობებში, საფონდო კონკურსში ჩვენი პროექტის გამარჯვების თაობაზე ჩვენი იმედთა ნაკლებობა, სრულიად გასაკებია! – მიუხედავად ამისა, ანუ მიუხედავად საფონდო საკონკურსო შედეგებისა, ჩვენ ვაფასებთ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და რუსთველის ფონდის თანამშრომლობით განწყობას და მადლობას ვუუბნებთ მათ ამისათვის.

ამასთან, გატყობინებთ, რომ მიუხედავად ჩვენი თემატიკის საუნივერსიტეტო აქტუალობისა, ჩვენი ჯგუფის საუნივერსიტეტო დაუსაქმებლობის გამო ჩვენ ვერ შევძელით გაგვეკეთებინა თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ წარდგინება **საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამაში**, სადაც პირველი განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 2009 წლის 12 იანვარი.

აქვე გატყობინებთ, რომ ა/წ 30 იანვარს ჩვენ (კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ლ. აბზიანიძე, ა. მასხარაშვილი) უკვე გვქონდა თითქმის ორსაათიანი შეხვედრა ბ-ნ რ. ქვათაძესთან. ამ შეხვედრის ბოლოს შეეთანხმდით, რომ მიმდინარე კვირაში იგი შეხვდებოდა კონფლიქტის მონაწილე მეორე მხარეს (მხედველობაშია რ. ბოჭორიშვილი), რის შემდგომაც იგი კვლავ დაგვიკავშირდებოდა საკითხის გასწვრივ მიმდინარე პროცესის დამასრულებელი შეხვედრის ორგანიზების მიზნით. – ბ-ნო ვია, ამით, იმის თქმა გვინდა, რომ მიუხედავად ზემოთხსენილი ლაბორატორიის გასწვრივ მოულოდნელად წამოჭრილი საფაკულტეტო კონფლიქტისა რექტორი ყურადღებით ეკიდება საკითხს, რაც გვაიმედებს იმაში, რომ ახლო მომავალში მივაღწეოთ საკითხის ან საფაკულტეტო, ან გარესაფაკულტეტო დადებით გადაწყვეტამდე.

ამასთან, დანართი 13-ის სახით წარმოგიდგინებთ ამონაბეჭდს ჩემი შრომის წიგნაკიდან: შეგახსენებთ, რომ 2003 წლიდან ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილებით თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა ჩემი ხელმძღვანელობით გამოიყო ცალკე საინსტიტუტო საკვლევ თემად, ხოლო 2005 წლის ივნისიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტმა გამოყო II კატეგორიის დაფინანსება №1.01.73 პროგრამაზე „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ 5 საშტატო ერთეულით (კ. ფხაკაძე 1,0 საშტატო ერთეული; გ. ჩიჩუა 1,0 საშტატო ერთეული; ს. გამყრელიძე 1,0 საშტატო ერთეული; ლ. ტიბუა 0,5 საშტატო ერთეული; გ. ჭანკვეტაძე 0,5 საშტატო ერთეული; ვ. ფხაკაძე 0,5 საშტატო ერთეული; გ. ნადიბაიძე 0,5 საშტატო ერთეული), სადაც მე კვლავ პროგრამის ხელმძღვანელი და მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ვიყავი. ამ სამწლიანი პროგრამის ეს დაფინანსება გაგრძელდა 2006 წლის 1 იანვრამდე – ჩემი აზრით ის, რომ ჩემს შრომის წიგნაკში არ არის აღნუსხული ჩემი საინსტიტუტო ბიოგრაფიის ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი ეტაპები, არის შეცდომა, რომლითაც მახინჯდება როგორც ჩემი საინსტიტუტო ბიოგრაფია, ასევე ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ისტორია. – ბ-ნო ვია, გთხოვთ დახმარებას ამ შეცდომების გასწორებაში, ან ახსნას იმისა, რომ ის, რაც მე შეცდომები მგონია, არ არის შეცდომები.

პატივისცემით, კ. ფხაკაძე.
2 თებერვალი, 2009 წელი.

P.S: იხ. დანართი 14. ის თქვენ დაგეხმარებათ საკითხის გასწვრივ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაში.